ქ.თბილისი

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 08.05/10/ 662

19 დეკემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ნინო ხატისკაცის სახით და მეორე მხრივ შპს „კონსონანს პროდაქშენ" (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ მდინარაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების საგანი, (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების საგანია ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისთვის, 2017 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, გრანდიოზული გალა -კონცერტის შემოქმედებითი და ტექნიკური მხარის გამართულობისა და ვიზუალური ეფექტების შექმნის მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 დეკემბრის №2536 განკარგულების, „ქალაქ თბილისის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 05 დეკემბრის №3368 განკარგულებისა (SMP160003124)* და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 30 ნოემბრის #1-2390 ბრძანების საფუძველზე.

2.2 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: 2017 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, 2016 წლის 31 დეკემბრს ქ. თბილისში, ვარდების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად გრანდიოზული გალა-კონცერტისათვის შემოქმედებითი და ტექნიკური მხარის გამართულობისა და ვიზუალური ეფექტების შექმნის უზრუნველყოფის მომსახურების შესყიდვა. გასაწევი მომსახურების აღწერილობა (დანართი #1) და მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი #2), თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს (დანართი – 2 ფურცელი).

2.3 გასაწევი მომსახურების დეტალური ტექნიკური დავალება შეთანხმდება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ღონისძიების ფორმატიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 61 110 (სამოცდაერთი ათას ასათი) ლარს, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა (ტრანსპორტირება და სხვა) და გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - 79952100 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

2.6 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: 2016 წლის 31 დეკემბერი, 23:00 საათი, ღონისძიების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 2 სთ-ს.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქი თბილისი, ვარდების მოედნის მიმდებარე ტერიტორია.

3.3 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელთან შეთანხმებით შეცვალოს (დააზუსტოს) მომსახურების გაწევის ზუსტი თარიღი, დრო და ადგილი.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. გასაწევი მომსახურების ღირებულების 100 %-ი ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების, ავანსის საბანკო გარანტიის საფუძველზე, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა. საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას არაუგვიანეს 2016 წლის 26 დეკემბრისა, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევის ვადას. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7.3 უპირობო, გამოუთხოვადი საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

7.4 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, კერძოდ, ღონისძიების ფარგლებში შესასრულებელი დავალების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შეთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) შემსყიდველთან შეუთანხმებლად მიმწოდებლის მიერ ღონისძიების ფარგლებში გასაწევი მომსახურების ცვლილების შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ მოთხოვნის შემთხვევაში შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი ქ-ნ ეკატერინე აბულაძე, მობილურის ტელეფონის ნომერი: 599-85-08-30; ელექტრონული ფოსტა: e.abuladze@gmail.com;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი: ქ-ნ ლელა ინაშვილი, მობილური ტელეფონის ნომერი: 591-40-40-14; ელექტრონული ფოსტა: l.inashvili@tbilisi.gov.ge.

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
15.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
16.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.
16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსთან განმარტებაში დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა # GE24NB0330100200165022 ს/კოდი: 204521794	შპს ,,კონსონანს პროდაქშენ“ მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #52, ბ10 სს „თიბისი ბანკი“ კოდი: TBCBGE22 ა/ა # GE25TB7605336020100002 ს/კოდი: 405145686
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნ. ხატისკაცი	შპს „კონსონანს პროდაქშენ“ - ის დირექტორი მ. მდინარაძე

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შეთანხმებულია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი — *დავით მორალიშვილთან*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი — *გაიოზ თალაკვაძესთან*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი — *ია მაქაცარია-ჩხაიძესთან*

გასაწევი მომსახურების აღწერა

პროექტის სახელწოდება : ახალი წლის გალა-კონცერტი

თარიღი და დრო: 2016 წლის 31 დეკემბერი 23 სთ, ხანგრძლივობა არანაკლებ 2 საათი.

ლოკაცია: ვარდების მოედნის მიმდებარე ტერიტორია

ახალი წლის ღონისძიებების ფარგლებში, 2016 წლის 31 დეკემბერს, ქალაქ თბილისში, ვარდების მოედანის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად გრანდიოზული გალა-კონცერტი უნდა გაიმართოს, რომლის შემოქმედებითი და ტექნიკური მხარის გამართულობა, ვიზუალური ეფექტების შექმნა შპს „კონსონანს პროდაქშენმა“ უნდა უზრუნველყოს.

გალა-კონცერტში მონაწილეობას სხვა შემსრულებლებთან ერთად მუსიკალური ბენდი მიიღებს.

სცენასთან დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე უნდა გავიდეს კომპიუტერული გრაფიკის ნიმუშები ღონისძიების ვიზუალური გაფორმებისთვის.

გალა-კონცერტი პირდაპირ ეთერში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მეშვეობით გადაიცემა.

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

	დასახელება	*ერთეულის ფასი*	*რაოდენობა*	*ღირებულება*
1	*მუსიკალური ხელმძღვანელი*	8000	1	8000.0
2	*პროექტის კოორდინატორი*	6250	1	6250.0
3	*დამდგმელი რეჟისორი*	8000	1	8000.0
4	*დამდგმელი მხატვარი*	6250	1	6250.0
5	*სცენარის ავტორი*	1250	1	1250.0
6	*ხმის რეჟისორი (ორკესტრისთვის)*	1250	1	1250.0
7	*ტექნიკური მენეჯერი*	1875	4	7500.0
8	*გრიმი*	2000	1	2000.0
9	*ბენდის მუსიკოსები*	2085	*6*	12510.0
10	*კომპიუტერული გრაფიკა*	300	*27*	8100.0
	ჯამი			***61110.0***

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე
ნ. ხატისკაცი

შპს „კონსონანს პროდაქშენ“ - ის
დირექტორი

მ მდინარაძე